საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზებუ



ზებუ, კუზიანი ძროხა (Bos indicus), მისი სამშობლოა ინდოეთი. გავრცელდა აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე. ამერ. ტროპ. და სუბტროპ. ზონებში. მოშენებულია აზერბაიჯანსა და ცენტრ. აზიის ქვეყნებში. არსებობს ზ-ს და ზებუსნაირი ძროხეულის 370-მდე ჯიში. მათი სულადობა 500 მლნ. აჭარბებს. ნიდაოზე აქვს შემაერთებელი ქსოვილოვანი ცხიმ-ხორცოვანი კუზი, ძლიერ განვითარებული კანის ნაოჭები და დიდი ზომის ყურები. ფერად შავი, წითელ-ჭრელი, თაფლა, ნაცრისფერი და წაბლაა. ზრდასრული ფურის საშ. მასაა 250–270 კგ, კუროსი – 300–350 კგ, კულტ. ჯიშების ფურისა – 450–550 კგ, კუროსი კი – 850–1000 კგ. ზ. ზოგიერთი ენდემური დაავადებისადმი გენეტ. მდგრადია. კარგად ეგუება პაპანაქება სიცხეს. წლიურად იწველის 1500 კგ-მდე, რეკორდული ნაწველია 5600 კგ. რძე შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმს (4,5–5%-მდე). საქართველოში ზ. 1976 შემოიყვანეს. იყენებენ ჰიბრიდიზაციის გზით მაღალი ტემპერატურისა და დაავადებებისადმი გამძლე მერძეული და მეხორცული ჯიშების გამოსაყვანად.

გ. გოგოლი